თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა მორიგი გამარჯვება ბუქარესტში

26 დეკემბერს, რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა ჩაატარა მესამე შეხვედრა რუმინელ ფეხბურთელებთან. საბჭოთა ფეხბურთელების წინააღმდეგ ამჯერად თამაშობდა ქალაქ ტიმიშოარის ნაკრები გუნდი.

მიუხედავად იმისა, რომ სიცივე 8 გრადუსს აღწევდა, ხოლო მოედანზე თოვლი ის–ის იყო აწმინდეს, მატჩი მაინც საინტერესოდ ჩატარდა. როგორც პირველ, ისე მეორე ტაიმში უპირატესობა თბილისის “დინამოს” მხარეზე იყო.

მატჩი დამთავრდა თბილისის ”დინამოს” გამარჯვებით, ანგარიშით – 5:0. ეს უკვე მათი მესამე გამარჯვებაა რუმინეთში. აღსანიშნავია გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდება – 17:6, რაც აშკარად მოწმობს საბჭოთა ფეხბურთელების თავდამსხმელთა სიძლიერეს და დამცველთა დიდი ოსტატობას.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 28 დეკემბერი 1945 წ.